ეს პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის მიერ

ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება - ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი

პოლიტიკის შემქმნელები და ექსპერტები მინისტრთა კონფერენციაზე იკრიბებიან

ვენა, 27 აპრილი, 2016 – ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფინანსთა მინისტრები, ოფიციალური პირები, ბიზნესის, პროფესიული და აკადემიური წრეების წარმომადგენლები წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან ერთად შეიკრიბნენ მინისტრთა კონფერენციაზე ვენაში, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR)* ორგანიზებით გაიმართა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

კონფერენციის ძირითადი თემა იყო ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების კატალიზური გავლენა ინვესტიციების ზრდაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. **ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა ჰანს იორგ შელინგმა** კონფერენციის 250 დელეგატისადმი მისასალმებელ მიმართვაში ხაზი გაუსვა ავსტრიის მხარდაჭერას აღნიშნული ღონისძიების მიმართ: *„ჩვენ ვზრუნავთ ეკონომიკური ზრდის და სტაბილურობის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე მეზობელ ქვეყნებში. კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების მტკიცე სისტემები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კერძო სექტორის, ფინანსური ბაზრების განვითარებას და ამგვარად ფინანსურ სტაბილურობას.“*

ბოსნიის და ჰერცეგოვინის, კოსოვოსა და სერბეთის ფინანსთა მინისტრებმა განიხილეს თუ როგორ ასრულებს მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგება კატალიზატორის როლს ნდობის და გამჭვირვალობის ამაღლების თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის და განვითარების შესაძლებლობებს რეგიონის მასშტაბით.

ევროპაში ეკონომიკური ზრდის და ინვესტირების შესაძლებლობების მნიშვნელობის ხაზგასმისას **ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის მოადგილემ კატარინა მატერნოვამ** აღნიშნა: *“სანდო ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშგების სისტემა აადვილებს ინვესტორებისთვის გადაწყვეტილებების მიღებას და შესაძლებელს ხდის სახელმწიფო პოლიტიკის უკეთესად დაგეგმვას. ევროკომისია მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ფინანსური ანგარიშგების თანამედროვე სისტემის შექმნას თავის პარტნიორ ქვეყნებში იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.“*

მსოფლიო ბანკის ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტმა სირილ მიულერმა მონაწილეებს განუცხადა, რომ ფინანსური და კაპიტალის ბაზრების ინფრასტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების კრებულთან (EU *acquis communautaire)* აადვილებს ვაჭრობას და კაპიტალის ინვესტირებას და ამცირებს ბარიერებს ქვეყნებს შორის. *“კაპიტალის ბაზრების სიღრმე უზრუნველყოფს მდგრად გარემოს რისკის მართვისა და კონტროლისთვის. უწყვეტი მცდელობით ფინანსური ინფორმაცია კიდევ უფრო მეტად განვითარდება როგორც ფასეული და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას რეგიონის მასშტაბით,“* აღნიშნა მან.

ფინანსური ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებლებისთვის ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ ფორუმს წარმატებული მაგალითების განსახილველად, ისევე როგორც სამუშაოს

წინასწარ დასაგეგმად ხარისხის, სანდოობის და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამაღლების თვალსაზრისით. მონაწილეებმა ასევე განიხილეს სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის რეფორმის როლი მთავრობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად, ფისკალური რისკის სამართავად და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად.

"მსოფლიო ბანკი მოხარულია, რომ მან განახორციელა ინვესტიცია თავის ძირითად პარტნიორებთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) შესაქმნელად, რომლის მიზანია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ფინანსური ინფორმაციის ხარისხზე და ქვეყნების მხარდაჭერა საჯარო დაინტერესების პირების მიმართ ნდობის ამაღლებაში მათი გამჭვირვალობის ზრდით" - აღნიშნა **მსოფლიო ბანკის მართვის გლობალური პრაქტიკის დირექტორმა სამია მსადეკმა,** მისივე თქმით: *„ მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც ბევრია გასაკეთებელი, გასული წლების მიღწევები ადასტურებს პოლიტიკის შემმუშავებლების მტკიცე ერთგულებას პროაქტიური მოქმედების მიმართ ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად და კაპიტალის წარმატებული ბაზრების შესაქმნელად."*

კონფერენციის გარდა ჩატარდა ორი პარალელური ღონისძიება. პირველი იყო თანამდებობის პირთა სამუშაო შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ ცენტრალური, სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები რეფორმის პროგრესის განსახილველად და ფინანსური ანგარიშგების სფეროში გამოცდილების გასაზიარებლად. მათ ასევე განიხილეს ძირითადი დარგთაშორისი საკითხები და ფინანსური ანგარიშგების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. **სამუშაო შეხვედრის დროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი თაბუაშვილმა** აღნიშნა: *„საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი და მიისწრაფის გახდეს დიდი ევროპული ოჯახის ჭეშმარიტი წევრი. ფინანსთა სამინისტრო აწარმოებდა უწყებათაშორისი ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციას, რომელიც მიმართული იყო ქართული კანონმდებლობის მიახლოებისკენ ევროკავშირის დირექტივებთან ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში. მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე იქნა მიღწეული, მაგრამ რეფორმები მოითხოვს შემდგომ ღონისძიებებს სხვადასხვა დონეზე. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ღიაობას და გამჭვირვალობას და ჩვენი თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან გადამწყვეტია ამ მიზნების მიღწევისათვის."*

მეორე ღონისძიება - **პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების ფორუმი** 28 აპრილს თავს მოუყრის დაახლოებით 20-მდე ქვეყნის წარმომადგენელს იმის განსახილველად თუ როგორ შეუძლია პროფესიას წვლილის შეტანა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში.

---

*ღონისძიებები ორგანიზებულია ორი ქვერეგიონული პროგრამის ფარგლებში:

- **გზა ევროპისკენ: ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის და ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამა (EU - REPARIS)** ხორციელდება ევროკავშირთან და დასავლეთ ბალკანეთის საწარმოთა განვითარების და ინოვაციის ცენტრთან (WB EDIF) პარტნიორობით.
- **აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში (STAREP)** ხორციელდება ავსტრიის ფინანსთა სამინისტროსთან, ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან, ევროკავშირთან, შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოსთან და ლუქსემბურგის ფინანსთა სამინისტროსთან პარტნიორობით.

პრესრელიზი
2016/ECA/126

საკონტაქტო პირები:
ვენა: რეინჰარდ ჰასლინგერი, +43 (1) 2170 - 711, rhaslinger@worldbank.org
თბილისი: ინგა პაიჭაძე, +99532 291 3096 /291 2659, ipaichadze@worldbank.org
ვაშინგტონი: ელენა კარაბანი, +1 (202) 473 - 9277, ekaraban@worldbank.org

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ეწვიწთ: www.worldbank.org/cfrr

მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ინფორმაციის მისაღებად, ეწვიწთ: www.worldbank.org/eca

მსოფლიო ბანკის მართვის გლობალური პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ: www.worldbank.org/en/topic/governance

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ:
http://www.worldbank.org.ge
შემოგვიერთდით Facebook-ზე https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia
მიიღეთ განახლებული ინფორმაცია Twitter-ით: http://www.twitter.com/worldbank
YouTube-ზე ჩვენი არხია: http://www.youtube.com/worldbank